გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

(ფერწერული/გრაფიკული ნაწარმოების ექსპერტიზის შესახებ)

განმცხადებელი (სახელი, გვარი ან დასახელება):

საიდენტიფიკაციო მონაცემი (ID ნომერი)

მისამართი

ელ-ფოსტა

საკონტ. ტელეფონი

საკვლევი ობიექტის აღწერა

ნაწარმოების სახე (ფერწერული ან გრაფიკული)

ნაწარმოების ავტორი (რაც ცნობილია განმცხადებლისთვის)

ნაწარმოების დასახელება(რაც ცნობილია განმცხადებლისთვის)

ნაწარმოების შექმნის თარიღი (რაც ცნობილია განმცხადებლისთვის)

ნაწაროების ზომები (ჩარჩოს გარეშე სიმაღლე და სიგანე სმ-ში)

გამოყენებული მასალა საფუძველში (ტილო, ქაღალდი, ხე, მუყაო და ა.შ)

გამოყენებული მასალა ზედნადებში (საღებავი ზეთი, აკვარელი, გუაში, აკრილი, ფანქარი და ა.შ)

ნაწარმოებზე განხორციელებული ზემოქმედების აღწერა (რესტავრაცია-აღდგენა, როდის, ვის მიერ, რა მეთოდიკით და ა.შ)

ნაწარმოებზე არსებული ხელმოწერების, თარიღების ან სხვა მაიდენტიფიცირებელი ხილული ნიშნების აღწერა

საკვლევი ობიექტის წარმოშობა და ისტორია:

ნაწარმოების მესაკუთრე:

ნაწარმოების შეძენის წყარო და დრო:

ნაწარმოების შეძენის ფორმა:

ინფორმაცია ნაწარმოების წინა მფლობელებზე (მესაკუთრეებზე) (ვინაობა, ნაწარმოების ფლობის პერიოდი, ნაწარმოების შეძენის წყარო და ფორმა);

ინფორმაცია გამოფენების თაობაზე რომლებშიც მონაწილეობდა ნაწარმოები (გამოფენის დასახელება, დრო, ადგილი, ორგანიზატორი);

ინფორმაცია პუბლიკაციების თაობაზე, სადაც მოხსენებულია ნაწარმოები (პუბლიკაციის დრო, ფორმა, დასახელება და ა.შ);

ინფორმაცია კატალოგების თაობაზე, რომლებშიც შეტანილია ნაწარმოები (დასახელება, გამოცემის დრო, გამოცემის ავტორი, კონკრეტულ გვერდზე მითითება სადაც ასახულია ინფორმაცია).

მოთხოვნილი მომსახურების სახე

გთხოვთ წარმოდგენილი საკვლევი ობიექტისა (ნაწარმოების) და ინფორმაციის საფუძველზე ჩაატაროთ მისი საექსპერტო-სახელოვნებო, წყაროს, ისტორიის, მათ შორის ტექნიკურ-ტექნოლოგიური ან/და კომპლექსური გამოკვლევა (ამ პუნქტში კვლევის შერჩეული სახე უნდა მიეთითოს გარკვევით).

განცხადება და თანხმობა

განმცხადებელი აცნობიერებს, რომ ექსპერტიზის შედეგები შესაძლებელია არ დაემთხვეს მის მოლოდინს საკვლევი ობიექტის (ნაწარმოების) თვისებებთან (ორიგინალობასთან) დაკავშირებით და აცხადებს რომ მას არანაირი პრეტენზია აღნიშნულთან დაკავშირებით არ ექნება შემსრულებელის ან მის მიერ ექსპერტიზის პროცესში ჩართული კონკრეტული სპეციალისტების მიმართ.

განმცხადებელი აცხადებს თანხმობას ნებისმიერ დროს საკუთარი ხარჯითა და პასუხისმგებლობით წარუდგინოს შემსრულებელს ნაწარმოები ამ უკანასკნელის მიერ მითითებულ ადგილას, ან დაუშვას შემსრულებლის მიერ მითითებული პირები (ექსპერტები და სხვა დამხმარე პერსონალი) ნაწარმოების განთავსების ადგილას მისი ვიზუალური დათვალიერების მიზნით.

განმცხადებელი აცნობიერებს, რომ ექსპერტიზის პროცესში შესაძლოა საჭირო გახდეს ნაწარმოებზე ზემოქმედება, კერძოდ მისი ამოღება ჩარჩოდან, ნაწარმოებიდან

საკვლევი ნიმუშების (როგორც ფუძის, ასევე ზედნადები ფენის) აღება, ფოტოგრაფირება, რენტგენირება, ან სხვა დესტრუქციული მეთოდის გამოყენება, რაზედაც განმცხადებელი აცხადებს წინასწარ თანხმობას.

განმცხადებელი აცხადებს თანხმობას, რომ შემსრულებელმა ექსპერტიზის პროცესში განახორციელოს ყველა კანონიერი მოქმედება განცხადებაში მითითებული ინფორმაციისა და მონაცემების გადამოწმების მიზნით; მათ შორის გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ნებისმიერი მესამე პირისგან ან წყაროდან თუკი იგი შეეხება ნაწარმოების წარმოშობასა და მისი გადაცემის ისტორიას.

განცხადებაზე თანდართულ ფოტომასალაზე არ ვრცელდება საავტორო უფლებები და შემსრულებელს შეუძლია მათი გამოყენება ყოველგვარი შეზღუდვის, მათ შორის ყოველგვარი დამატებითი კომპენსაციის გადახდის გარეშე.

წინამდებარე განცხადებაზე ხელმოწერით განმცხადებელი ადასტურებს, რომ ყველა ინფორმაცია რომელიც ამ განცხადებაშია ასახული არის ზუსტი და არ არის დამახინჯებული მის მიერ, მიუხედვად იმისა თუ რას ეხება ეს ინფორმაცია (ნაწარმოებზე საკუთრების უფლებას, მისი მოპოვების გზებს, წარმოშობას, ნამდვილობას (ორიგინალობას) და სხვა).

განცხადების დანართი:

საკვლევი ობიექტის ფოტოსურათები (--- ფორმატში) წინა და უკანა მხარეების, მაღალხარისხიანი ციფრული ფოტოგრაფირებით

ნაწარმოებზე არსებული ნებისმიერი ხელმოწერისა ან/და მინაწერის ახლო ხედიდან ფოტოსურათი (--- ფორმატში)

განმცხადებლის საიდენტიფიკაციო დოკუმენტის დასკანერებული ასლი

საკვლევი ობიექტის წარმოშობის/ისტორიის დამადასტურებელი დოკუმენტაციის დასკანერებული ასლები

განმცხადებლის ხელმოწერა

თარიღი